პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

# რეკომენდაციები დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობების შესახებ

რეკომენდაციები ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

## შინაარსი


შესავალი ..... 3

1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების სტრუქტურა და არსებითი პირობები ..... 5

1.1. ხელშეკრულების სათაური და შედგენის ადგილი ..... 5

1.2. ტერმინთა განმარტება ..... 6

1.3. ხელშეკრულების მხარეები ..... 6

1.4. ხელშეკრულების საგანი ..... 8

1.5. ანაზღაურება და ანგარიშსწორება ..... 9

1.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ..... 10

1.7. მხარეთა უფლება-მოვალეობები ..... 10

1.8. გარანტიები ..... 13

1.9. მხარეთა პასუხისმგებლობა ..... 14

1.10. ხელშეკრულების შეცვლა/შეწყვეტა ..... 15

1.11. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რისკები ..... 15

1.12. კონფიდენციალობა ..... 16

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ჰქონდეს ..... 16

1.13. დავის გადაწყვეტა ..... 17

1.14. ხელშეკრულების დამატებითი/დასკვნითი დებულებები ..... 17

1.15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა ..... 17

2. სტანდარტული პირობების ადგილი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ..... 17

3. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული მოთხოვნები ..... 19

*დანართი:* დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის ხელშეკრულების ნიმუში

## შესავალი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობების განსაზღვრა უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის[1] მოთხოვნათა შესრულებასა და მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების თანაბარ განაწილებას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, ხოლო მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც, აგრეთვე, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი, მონაცემებს  დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით, მის მიერ განსაზღვრული დავალებებისა და მითითებების საფუძველზე ამუშავებს.[2] აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება, დაამუშაოს მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ან წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების (ხელშეკრულების) საფუძველზე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ხელშეკრულების არსებობა, მათი ურთიერთობის აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნაა.[3] აღნიშნული განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, მიზნებს, დასამუშავებელი მონაცემის კატეგორიებს, დამუშავების პროცესის ხანგრძლივობასა და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შეთანხმება, ასევე, შეიძლება ითვალისწინებდეს იმგვარ დებულებებს, რომლებიც, მართალია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული, თუმცა შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეთათვის მბოჭავი და სავალდებულო ხასიათის იქნება. ამგვარი დებულებები შეიძლება, შეეხებოდეს მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხს, მონაცემთა უსაფრთხოების ღონისძიებათა დეტალურ აღწერას, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხს, რომელიც ინდივიდუალური შეთანხმების საგანს წარმოადგენს.[4]

---

[1] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[2] *ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო,* მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 117, 124.

[3] იქვე, 124. მუხლი 29, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016, 1-88 (შემდგომში - „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“).

[4] Data Protection Commission - Iris Data Protection Authority, A Practical Guide to Controller-Processor Contracts, 2, <https://www.dataprotection.ie/sites/default/files/uploads/2019-06/190624%20Practical%20Guide%20to%20Controller-Processor%20Contracts.pdf> [07.08.2024].

მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების არარსებობა, უპირველესად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულების დარღვევაა.[5] დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტის გამო, ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი სამართალდამრღვევად მიიჩნია.[6]

აღსანიშნავია, თუკი დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ანდა მიზნიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების ან მონაცემთა სუბიექტების უფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ ხელშეკრულების დადება.[7] შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, დაუშვებელია დამუშავების პროცესის მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მესამე პირზე სრულად ან ნაწილობრივ დელეგირება, გარდა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობისა.[8] ხოლო თანხმობის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებას სხვა უფლებამოსილი პირი (ქვე-უფლებამოსილი) განახორციელებს.[9] გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სრული ინფორმაცია მიაწოდოს სხვა უფლებამოსილი პირების შესახებ.[10] საგულისხმოა, რომ დამუშავების პროცესს ზედამხედველობს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, შესაბამისად, სამართლებრივი პასუხისმგებლობა სწორედ ამ უკანასკნელს აკისრია.[11] მიუხედავად ამისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მითითებებისა და მასთან დადებული სახელშეკრულებო პირობების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, იგი, შეიძლება, თავად გახდეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.[12]

შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების შესახებ წერილობითი შეთანხმება აყალიბებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირებს შორის ორმხრივ სახელშეკრულებოსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც კერძოსამართლებრივი ხასიათის გათვალისწინებით, ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულების სამართლებრივ არსთან[13] დგას. შესაბამისად, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობა ორმხრივი, სასყიდლიანი ან

---

[5] *ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო,* მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 126.

[6] საქმის ფაქტობრივი გარემოები და ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შეფასება უფრო ვრცლად იხილეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე: <https://shorturl.at/RGNZ7> [07.08.2024].

[7] იხ. 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[8] იქვე, მე-7 პუნქტი.

[9] EDPB, Data Controller or Data Processor, <https://shorturl.at/KrdPL> [07.08.2024].

[10] *Kuner Ch., Bygrave L. A., Docksey Ch. (eds.),* The EU General Data Protection Regulation: A Commentary, 2021, 131.

[11] *ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო,* მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 117.

[12] იქვე, 125.

[13] 709-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

უსასყიდლო, კონსესუალური ხასიათისაა. იგი, თავის მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების სამართლებრივი ნამდვილობის სამოქალაქოსამართლებრივ მოთხოვნებს.[14]

წინამდებარე გზამკვლევი მიზნად ისახავს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობების განმარტებას. შესაბამისად, გზამკვლევში მსჯელობა არ არის წარმოდგენილი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგების პერსპექტივიდან. რეკომენდაციები მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმატიული შინაარსის, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა და ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

## 1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების სტრუქტურა და არსებითი პირობები

### 1.1. ხელშეკრულების სათაური და შედგენის ადგილი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების სათაური ხელშეკრულების კლასიფიკაციის საშუალებაა, თუმცა, შეთანხმების ტექსტსა და სახელწოდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, ხელშეკრულება შინაარსის შესაბამისად განიმარტება. ხელშეკრულების შედგენის ადგილი განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნას გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში. ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს: გამოსაყენებელი სამართალი; ხელშეკრულების მხარეთა ადგილსამყოფელი; ვალდებულების შესრულების ადგილი; შეთანხმების მიღწევის ადგილი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ ვინ არიან ხელშეკრულების მხარეები და კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმა, რომლის ფარგლებშიც მხარეთა მოლაპარაკების პროცესი იურიდიული შედეგის მქონე შინაარსს იძენს. ამ ტიპის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავისებურებაა ხელშეკრულების წერილობითი ფორმით შედგენის აუცილებლობა, მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის (მათ შორის, მონაცემთა უსაფრთხოების) შესახებ ძირითადი დებულებების ჩამოყალიბება — არსებითი და სტანდარტული პირობების განსაზღვრა, დავის გადაწყვეტის მექანიზმის შემუშავება და სხვა.

[14] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, *ჭანტურია ლ.* (რედ.), 2017, 287-288, 289-290.

## 1.2. ტერმინთა განმარტება

ტერმინთა განმარტება ხელშეკრულებაში გამოყენებული სიტყვების ფორმალური და შინაარსობრივი მოქმედების ფარგლების დადგენისთვის არის საჭირო. ტერმინთა განმარტების შემადგენელი დებულებები გამოიყენება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული გულისხმობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ნორმატიული აქტების თუ სხვა ტიპის ტერმინების გამოყენებასა და ასახვას ხელშეკრულებაში.[15]

## 1.3. ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულების მხარეები არიან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე, ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები და სპეციალური წარმომადგენელი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ზღუდავს ხელშეკრულების მხარეთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს რამდენიმე.

ხელშეკრულების მხარე — **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ამუშავებს მონაცემებს.[16]

*მაგალითი:*

სამედიცინო დაწესებულება იყენებს ავტომატიზებული დამუშავების სისტემას პაციენტთა მიმღებ სივრცეში, საკონსულტაციო ოთახში გადასვლის ინფორმირების მიზნით. სისტემა შედგება ციფრული გამოსახულებისგან, რომელიც აჩვენებს რიგში მდგომი პაციენტის სახელსა და შესაბამისი საკონსულტაციო ოთახის ნომერს, ასევე, ინფორმაცია ცხადდება მხედველობადაქვეითებული პაციენტებისთვის. ამ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება განსაზღვრავს

[15] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, მე-3 მუხლი.

[16] იქვე, მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი. EDPB, 07/2020 on the Concepts of Controller and Processor in the GDPR, 2022, 3.

სუბიექტის მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, შესაბამისად, იგი იქნება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.[17]

ხელშეკრულების მეორე მხარე — **დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით.[18] დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.[19]

დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება გადასცეს სხვა პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.[20]

*მაგალითი:*

სპორტული კომპანია უკავშირდება სტამბას, რათა დაბეჭდოს მოსაწვევები ღონისძიებისთვის, რომელსაც უახლოეს მომავალში უმასპინძლებს. სპორტული ობიექტი საგამომცემლო კომპანიას უზიარებს კლუბის წევრების პირად მონაცემებსა და მისამართებს მონაცემთა საერთო ბაზიდან, რომელსაც სტამბა იყენებს მოსაწვევების შესადგენად. დაბეჭდილ მასალებს სპორტული ობიექტი უგზავნის მოსაწვევ პირებს. სპორტული ობიექტი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია, რადგან განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებს მონაცემთა სუბიექტებისთვის ინდივიდუალურად მოსაწვევების გასაგზავნად და დამუშავების საშუალებებს. საგამომცემლო კომპანია დამუშავებაზე უფლებამოსილი პირია, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ სპორტული ობიექტის მითითებით, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და პირობებით.[21]

თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები არიან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.[22]

---

[17] *ICO*, What are Controllers and Processors? <https://ico.org.uk/> [12.03.2023].
[18] *EDPB*, Guidelines on the Concepts of Controller and Processor in the GDPR, 2020, 3.
[19] მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023,.
[20] იქვე, 36-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
[21] *ICO*, What is a Processor? <https://ico.org.uk/> [12.03.2023].
[22] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

**მაგალითი:**

ძვირადღირებული მანქანების კომპანია და მოდის სახლი ერთობლივად გეგმავენ, სარეკლამო ღონისძიებას. კომპანიები გადაწყვეტენ ღონისძიებაზე პრიზების გათამაშებას. ისინი იწვევენ ღონისძიების სტუმრებს პრიზების გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, მათი სახელების, გვარების, პირადი ნომრებისა და მისამართების პრიზების გათამაშების ავტომატიზებული დამუშავების სისტემაში მითითებით. ღონისძიების დასრულების შემდეგ კომპანიები გამარჯვებულებს პრიზებს გადასცემენ. საპრიზო გათამაშების ორგანიზატორი ორივე კომპანია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია, რადგან ორივემ ერთობლივად განსაზღვრა მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები.[23]

სპეციალური წარმომადგენელი არის საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ამ კანონის საფუძველზე წარმომადგენლად განსაზღვრული/დანიშნული ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული სტატუსის არმქონე პირთა გაერთიანება.[24] სპეციალური წარმომადგენელი ასევე, შეიძლება იყოს ხელშეკრულების მხარე. საგულისხმოა, რომ მონაცემთა მიმღების კატეგორიაში გაერთიანებული ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, შეიძლება იყოს ხელშეკრულების მხარე.

## 1.4. ხელშეკრულების საგანი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საგანია მონაცემთა დამუშავება კონკრეტული მიზნითა და საფუძვლით, მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე, მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.[25]

დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება დაამუშაოს მხოლოდ სამართლებრივი აქტის ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. დადებული წერილობითი შეთანხმება,

[23] *ICO*, What does it Mean if you are Joint Controllers? <https://ico.org.uk/> [12.03.2023].

[24] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023, მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი.

[25] იქვე, მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

მსგავსად ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა“[26], უნდა მოიცავდეს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებსა და მიზნებს, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიებს, მონაცემთა დამუშავების ვადას და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებებსა და ვალდებულებებს. წერილობითი შეთანხმება გულისხმობს ელექტრონული ფორმით შეთანხმებასაც.[27]

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, ხოლო მე-5 მუხლი მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. მე-6 მუხლი შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას. კანონის მეოთხე თავი კი ეთმობა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებებს.

*მაგალითი:*

სადაზღვევო კომპანიას, შემდგომში — „მარწმუნებელი“, სურს გააფორმოს დავალების ხელშეკრულება დაზღვევის აგენტთან, შემდგომში — „რწმუნებული“. დავალების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს დაზღვევის აგენტის მიერ, დაინტერესებული პირებისთვის სადაზღვევო კომპანიის მომსახურების შეთავაზება და დაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება, საქართველოს კანონმდებლობითა და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. სადაზღვევო კომპანია დაზღვევის აგენტს უზიარებს ინფორმაციას მომხმარებლების პერსონალური მონაცემების შესახებ. დაზღვევის აგენტს ხელშეკრულებით ეკისრება ვალდებულება შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება (დაინტერესებულ პირებთან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებითა და სადაზღვევო კომპანიის შეთავაზებების გავრცელებით) „მარწმუნებლის“ სახელითა და ხარჯზე, რისთვისაც ის იყენებს და ამუშავებს სადაზღვევო კომპანიის მიერ მიწოდებულ მონაცემებს.

### 1.5. ანაზღაურება და ანგარიშსწორება

ანაზღაურება და ანგარიშსწორება სრულიად მხარეთა შეთანხმების საგანია. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს გაწეული მომსახურების ანაზღაურების მინიმალურ ან მაქსიმალურ საფინანსო განაკვეთს. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შორის დავას გაწეული მომსახურების ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არ განიხილავს.

[26] 28-ე მუხლი, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“.
[27] *EDPB*, Guidelines 07/2020 on the Concepts of Controller and Processor in the GDPR, 2022, 30.

## 1.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით უნდა დაამუშაოს მონაცემები. მონაცემთა დამუშავების ვადა მხარეთა შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების არსებითი ნაწილია. კანონი არ ადგენს ხელშეკრულების დადებისთვის მონაცემთა დამუშავების კონკრეტულ ვადას, თუმცა ამ ტიპის ხელშეკრულება არ შეიძლება დაიდოს განუსაზღვრელი ვადით. ასევე, მონაცემები შეიძლება შეინახოს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[28] იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან უნდა შეინახოს დეპერსონალიზებული ფორმით.[29]

## 1.7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეთა მიერ შეთანხმებული არსებითი პირობები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს წინასწარ მოსთხოვოს ინფორმაცია მონაცემთა კანონის შესაბამისად დამუშავების შესახებ და მონიტორინგი გაუწიოს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას. გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დავალების კონკრეტულ, მკაფიო აღწერილობას.[30]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, დაიცვას კანონით განსაზღვრული მოთხოვნები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარე გააფორმოს ხელშეკრულება დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. აღნიშნული ვალდებულებების ნაწილი ვრცელდება დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზეც, მას შემდეგ, რაც გაფორმდება მხარეთა შორის ხელშეკრულება.

---

[28] *პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური*, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 24-27, https://shorturl.at/AVuYf [07.08.2024].

[29] მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[30] *ICO*, What Need to be Included in the Contact?, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/accountability-and-governance/contracts-and-liabilities-between-controllers-and-processors-multi/what-needs-to-be-included-in-the-contract/#2> [07.08.2024].

გასათვალისწინებელია ძირითადი კანონისმიერი ვალდებულებები[31]:

- მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ვალდებულება;
- მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში;
- მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება;
- მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას;
- მონაცემთა უსაფრთხოება;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება;
- ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება;
- ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება;
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღების და მის მიერ თანხმობის გამოხმობის შემთხვევებში.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ექსკლუზიური კანონისმიერი ვალდებულებებია[32]:

- დაამუშაოს მონაცემები მხოლოდ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წერილობითი დავალების ან მითითების შესაბამისად;
- უზრუნველყოს, რომ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ჰქონდეს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება;
- უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება კანონის შესაბამისად;
- წაშალოს ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გადასცეს მონაცემები 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაუქმების ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე, წაშალოს მათი ასლები, თუ მათი შენახვის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მის მიერ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას;

[31] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023. *CNIL*, General Data Protection Regulation, Guide for Processors, 2017, 6-7, <https://www.cnil.fr/sites/cnil/files/atoms/files/gdpr_guide-for-processors_en.pdf> [07.08.2024].

[32] 36-ე მუხლი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

- მიიღოს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა დაეხმაროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში.

*მაგალითი:*

ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ მიიღო ადვოკატის საჩივარი განთავსების ცენტრის (“Direct Provision Accommodation Centre”) რეზიდენტის მიმართ, ვიდეოჩანაწერზე ასახული გამოსახულების სავარაუდო გამჟღავნებასთან დაკავშირებით. განთავსების ცენტრი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, კერძოდ, მასზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მიღებისა და ინტეგრაციის სააგენტოს (“RIA”). ცენტრს ყოველდღიურ საქმიანობაში მართავდა “Aramark Ireland”. საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ “RIA”-მ და “Aramark”-მა ვერ შეასრულეს მომჩივანზე ზრუნვის მოვალეობა, რადგან ვერ უზრუნველყვეს სათანადო უსაფრთხოების ზომების მიღება არაავტორიზებული გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. საზედამხედველო ორგანომ ასევე დაადგინა მოქმედი კანონმდებლობის იმ დებულებასთან შეუსაბამობა, რომელიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვს მიიღოს გონივრული ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ მისმა თანამშრომლებმა და სამუშაო ადგილზე მყოფმა სხვა პირებმა იცოდნენ და დაიცვან უსაფრთხოების ზომები.

პერსონალური მონაცემების ქსელით გადაცემასთან დაკავშირებით “RIA”-ს არ ჰქონდა წერილობითი შეთანხმება, რომელშიც ნათლად აისახებოდა ინსტრუქციები დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის, “RIA”-ს სახელით პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.[33]

*მაგალითი:*

ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი — ჰელსინკის ადმინისტრაცია,[34] დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის — ერთ-ერთი კომპანიის დახმარებით ამუშავებდა არასრულწლოვნების, კერძოდ, სკოლის მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებს. მონაცემები მუშავდებოდა ელექტრონული აპლიკაციის საშუალებით, რომლითაც მონაცემთა სუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაკავშირებოდნენ სკოლის ადმინისტრაციას ან ფსიქოლოგს.[35] საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აპლიკაციის შემუშავებიდან

[33] Case Studies (Annual Report), 2018, Case Study 5: Disclosure of CCTV Footage from a Direct Provision Centre.
[34] City of Helsinki, <https://www.hel.fi/en> [21.06.2024].
[35] Tietosuojavaltuutetun toimisto (Finland), 1803/161/23, <https://gdprhub.eu/index.php?title=Tietosuojavaltuutetun_toimisto_(Finland)_-_1803/161/23> [21.06.2024].

საქმის განხილვის დროისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულება არ იყო დადებული (უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესი წესრიგდება ხელშეკრულებით ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილი სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც უფლებამოსილ პირს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინაშე აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზანს, ხასიათს, ხანგრძლივობას, დასამუშავებელ მონაცემთა და მონაცემთა სუბიექტების კატეგორიებს, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის უფლებებსა და ვალდებულებებს). დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ იგი უკვე აღარ სარგებლობდა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის — ერთ-ერთი კომპანიის მომსახურებით, თუმცა, აპლიკაციის გამოყენების უზრუნველსაყოფად, იგი სხვა უფლებამოსილ პირს დაუკავშირდა. მიუხედავად ამისა, სხვა უფლებამოსილ პირთან გაფორმებული შეთანხმებაც არ შეიცავდა ევროკავშირის ძირითადი რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შესაბამისად, ფინეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის დამრღვევად მიიჩნია, თუმცა არ დააკისრა ჯარიმა ფინეთის „მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე,36 რომლის თანახმად, საჯარო ორგანოს ადმინისტრაციული ჯარიმა არ ეკისრება.

## 1.8. გარანტიები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დადებული წერილობითი შეთანხმება მონაცემთა უსაფრთხოებისა და სუბიექტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, შეიძლება, ითვალისწინებდეს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დახმარების გაწევის ვალდებულებას.[37] მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეასრულოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მითითებები, თუმცა, მას ასევე აქვს ზოგადი ვალდებულება, დაიცვას დამუშავების პროცესების კანონთან შესაბამისობა.38 აღნიშნულიდან გამომდინარე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეაფასოს მიღებული დავალების შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და საჭიროების შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკებები. მხარეებმა ხელშეკრულებით, ასევე, შეიძლება

[36] Finnish Data Protection Act, 2018, <https://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2018/en20181050.pdf> [21.06.2024].
[37] *CNIL*, General Data Protection Regulation, Guide for Processors, 2017, 7, <https://www.cnil.fr/sites/cnil/files/atoms/files/gdpr_guide-for-processors_en.pdf> [07.08.2024].
[38] EDPB, Guidelines 07/2020 on the Concepts of Controller and Processor in the GDPR, 2022, 38-39.

გაითვალისწინონ დებულება, რომლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დამუშავების პროცესთან დაკავშირებით მუდმივად კანონსაწინააღმდეგო დავალებების გაცემის შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შეწყდება.[39]

**მაგალითი:**

ირლანდიის საზედამხედველო ორგანომ მიიღო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დარღვევის შესახებ ინდივიდუალური შეტყობინებები რამდენიმე საკრედიტო გაერთიანებისგან, რომლებსაც დაქირავებული ჰყავდათ დამუშავებაზე უფლებამოსილი ერთი და იგივე პირი. დარღვევა გამოწვეული იყო დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დაშვებული შეცდომით, რომლის შესახებ ინფორმაციაც უცნობი იყო დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისთვის. გამოვლენილი შემთხვევები ნათლად აჩვენებდა მონაცემთა დამუშავების შესახებ ისეთ ხელშეკრულებათა შედგენის მნიშვნელობას, რომლებშიც სათანადოდ იქნებოდა გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის 28-ე მუხლის მოთხოვნები - მონაცემთა დამუშავების შესახებ ხელშეკრულებები უნდა ადგენდეს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მოვალეობას, დაეხმაროს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უსაფრთხოების კუთხით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში, ასევე, დარღვევების შესახებ შეტყობინებასა და რეაგირებაში.[40]

## 1.9. მხარეთა პასუხისმგებლობა

დაუშვებელია დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შეთანხმებით ან სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მიზნებისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება. აგრეთვე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაუშვებელია, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის თანხმობა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ უნდა განსაზღვროს დამუშავების პროცესის მიზნები და საშუალებები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად.[41]

---

[39] იქვე.
[40] Case Studies (Annual Report), 2020, Case Study 16: Breach Notification (12 Credit Unions) Processor Coding Error.
[41] *EDPB*, Guidelines 07/2020 on the Concepts of Controller and Processor in the GDPR, 2022, 39.

*მაგალითი:*

2019 წელს საფრანგეთის მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ჩანაწერების შესახებ, რომლებიც მოიცავდა ორასზე მეტი პოლიტიკური პირისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრის პერსონალურ მონაცემებს. ამავდროულად, მონაცემთა სუბიექტებმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საჩივრებით მიმართეს.

საფრანგეთის საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოვლენილი ერთ-ერთი დარღვევა შეეხებოდა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით განხორციელებული დამუშავების კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევას, რაც არ იყო გათვალისწინებული მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებული იყო, აესახა და სამართლებრივად მოეწესრიგებინა მისი სახელით დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მოქმედებები, ასევე, განესაზღვრა მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარანტიები. დადგინდა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლის მოთხოვნებს.[42]

## 1.10. ხელშეკრულების შეცვლა/შეწყვეტა

წერილობითი შეთანხმების გაუქმების ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს და დამუშავებული მონაცემები დაუყოვნებლივ და სრულად უნდა გადაეცეს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.[43] თავის მხრივ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, წაშალოს მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები.[44] შეთანხმების პირობების შეცვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ასევე, შეიძლება განისაზღვროს მხარეთა ხელშეკრულებაში.

## 1.11. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რისკები

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

[42] Lobbying File: Penalty of 400 000 Euros against Monsanto, 28 July 2021.
[43] *ICO*, What Need to be Included in the Contact?, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/accountability-and-governance/contracts-and-liabilities-between-controllers-and-processors-multi/what-needs-to-be-included-in-the-contract/#2> [07.08.2024].
[44] *Voigt P.*, *Bussche A.*, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Practical Guide, 2017, 83.

მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და კანონის მოთხოვნების დასაცავად უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას[45]. აღნიშნული გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ინტერესიდან. შესაბამისად, დაუშვებელია მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმების დადება, თუ, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების ან მონაცემთა სუბიექტის უფლებების შელახვის მაღალი საფრთხე.

## 1.12. კონფიდენციალობა

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ჰქონდეს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება, შესაძლებელია შეთანხმებით, ცალკე პუნქტის სახით იყოს გათვალისწინებული,[46] რაც ასევე ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობითის შეწყვეტის შემდგომ პერიოდზე.

*მაგალითი:*

2019 წელს შვედურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ სამედიცინო საკონსულტაციო სამსახურში ჩაწერილი სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ღია წვდომის ვებგვერდზე პაროლის და უსაფრთხოების ზომების გარეშე. შვედეთის საზედამხედველო ორგანომ თავდაპირველად მოკვლევა დაიწყო ამ სამსახურის დამუშავებაზე უფლებამოსილი ერთ-ერთი ორგანიზაციის მიმართ, შემდგომში გამოძიება გაფართოვდა. საზედამხედველო ორგანომ დამუშავებაზე უფლებამოსილი ერთ-ერთი პირი დააჯარიმა და აღნიშნა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. განხილულ საქმეში დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს ჰქონდათ ექსკლუზიური ვალდებულებები მონაცემთა დამუშავების ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფისთვის. ხაზი გაესვა ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის მნიშვნელობას მაშინ, როდესაც მხარეები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის დებენ ხელშეკრულებას.

[45] *Vrabec H. U.*, Data Subject Rights under the GDPR. With a Commentary through the Lens of the Data-driven Economy, 2021, 33.

[46] *ICO*, What Need to be Included in the Contact?, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/accountability-and-governance/contracts-and-liabilities-between-controllers-and-processors-multi/what-needs-to-be-included-in-the-contract/#2> [07.08.2024].

### 1.13. დავის გადაწყვეტა

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის მონაცემთა დამუშავების პროცესთან დაკავშირებით ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის წარმოშობის შემთხვევაში, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სრულად გადასცეს მის ხელთ არსებული მონაცემები.[47] ეს ჩანაწერი მხარეებს არ ზღუდავს, რომ ხელშეკრულებაში განსაზღვრონ დავის გადაწყვეტის წესი, მათ შორის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი.

### 1.14. ხელშეკრულების დამატებითი/დასკვნითი დებულებები

მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი.

### 1.15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

ხელშეკრულების ბოლოს უნდა განთავსდეს მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით შედგენის შემთხვევაში აღნიშნული შეიძლება აისახოს ავტომატიზებულად.

## 2. სტანდარტული პირობების ადგილი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების დადების ეტაპზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლიათ, დამოუკიდებლად შეიმუშაონ ხელშეკრულების არსებითი პირობები, ასევე, მთლიანად ან ნაწილობრივ ისარგებლონ სტანდარტული პირობებით,[48] რაც შემდგომში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსებით პირობებად გარდაიქმნება.

---

47 36-ე მუხლის მე-8 პუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[48] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი III, *ჭანტურია ლ. (რედ.)*, 2019, 184.

დამოუკიდებელი კვლევის საგანია სახელშეკრულებო პირობები მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და მესამე ქვეყანაში არსებულ მონაცემთა მიმღებს შორის, რომელიც აღიარებულია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის კანონმდებლობით, როგორც მონაცემთა სათანადო დონეზე დაცვის საშუალება. სტანდარტული სახელშეკრულებო პირობის მნიშვნელოვანი ასპექტებია: პირობა მიმღები მესამე პირის შესახებ, რომელიც მონაცემთა სუბიექტს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს სახელშეკრულებო უფლებებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ხელშეკრულების მხარე. ასევე, დათქმა, რომ მონაცემთა მიმღები (იმპორტიორი) თანახმაა, დაექვემდებაროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის (ექსპორტიორის) ეროვნულ საზედამხედველო ორგანოს და/ან სასამართლოს, დავის წარმოშობის შემთხვევაში.[49]

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა შემუშავდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემავსებელი წესები.[50] დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, შეიძლება, შეიცავდეს სტანდარტულ პირობებს. თუმცა, ასევე, გასათვალისწინებელია, თუკი ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ აღნიშნული არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად და სტანდარტულ პირობებთან შედარებით, უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები შეიძლება გადაიქცეს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს აღნიშნულ პირობებზე და ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს, გაეცნოს მათ შინაარსს და, თანხმობის შემთხვევაში, მიიღოს აღნიშნული პირობები.[51]

გასათვალისწინებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო და ბუნდოვანი დებულებების განმარტების საკითხი, ასევე, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა. ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ, საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებები, რომელთა არსებობისას შეიტანეს აღნიშნული პირობები ხელშეკრულებაში, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.

---

[49] *ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო*, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 297.

[50] 342-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

[51] იქვე, 343-ე მუხლი.

## 3. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული მოთხოვნები

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლი აწესრიგებს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის სამართლებრივ სტატუსსა და მასთან დადებულ ხელშეკრულებას. აღნიშნული დანაწესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მონაცემები მუშავდება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით, დამუშავებაზე უფლებამოსილი მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის შესაბამისად და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის ტექნიკურ და ორგანიზაციულ გამართულობას.[52]

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინასწარი, ნათლად გამოხატული ან წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ სხვა უფლებამოსილი პირის ჩართვა დამუშავების პროცესში. წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი აცნობებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სხვა უფლებამოსილი პირის დამატების ან ჩანაცვლების შესახებ, რაც, თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს საწინააღმდეგო აზრის გამოხატვის შესაძლებლობას ანიჭებს.[53]

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესი წესრიგდება ხელშეკრულებით ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილი სხვა სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც უფლებამოსილ პირს დააკისრებს ვალდებულებებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წინაშე და განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საგანს, ხანგრძლივობას, დამუშავების საფუძვლებსა და მიზანს, როგორც მონაცემთა, ისევე მონაცემთა სუბიექტების კატეგორიებს, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებებსა და უფლებებს.[54]

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება/ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ექსკლუზიურ ვალდებულებებს:

- დაამუშაოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მიწოდებული მითითების (ინსტრუქციების) საფუძველზე, მათ შორის, მონაცემთა მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, გარდა ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი აცნობებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ამ სამართლებრივი მოთხოვნის შესახებ, გარდა იმ

[52] 28-ე მუხლის პირველი პუნქტი, მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია.
53 იქვე, მე-2 პუნქტი.
[54] იქვე, მე-3 პუნქტი.

შემთხვევისა, როდესაც კანონით იკრძალება ამ ინფორმაციის გაცემა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი მიზნებიდან გამომდინარე;
- უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაწილე პირების კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ან მათ მიერ კონფიდენციალობის დაცვის კანონისმიერი ვალდებულების შესრულება;
- უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების მოთხოვნები;
- დაიცვას დამუშავების პროცესში სხვა უფლებამოსილი პირის ჩართვის პირობები;
- მონაცემთა დამუშავების ხასიათის გათვალისწინებით სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებით, შეძლებისდაგვარად, დაეხმაროს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში;
- დაეხმაროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოებისა და წინასწარი კონსულტაციის ვალდებულებების შესრულებაში დამუშავების ხასიათისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი ინფორმაციის გათვალისწინებით;
- მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სურვილით, დამუშავების შესაბამისი მომსახურების მიწოდების შემდეგ წაშალოს ან უკან დაუბრუნოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს პერსონალური მონაცემები, ასევე, წაშალოს მათი ასლები, თუ ევროკავშირის ან წევრი ქვეყნების კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების შენახვას არ ავალდებულებს;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რომლითაც იგი დაადასტურებს „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობას, შესაძლებელს გახდის და ხელს შეუწყობს აუდიტის, მათ შორის, ინსპექტირების განხორციელებას მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან სხვა აუდიტის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, თუ, მისი აზრით, მითითება არღვევს რეგულაციას ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელ კანონმდებლობას.

თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი დამუშავების პროცესში ჩართავს სხვა პირს იმ მიზნით, რომ მან მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით განახორციელოს მოქმედებები, უფლებამოსილ პირსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის არსებული ხელშეკრულების ან სამართლებრივი აქტის ყველა ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, მასზე ვრცელდება. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი მეორე პირი ვერ შეასრულებს მონაცემთა დაცვის ვალდებულებებს, პასუხისმგებლობა დაეკისრება დამუშავებაზე უფლებამოსილ თავდაპირველ პირს.[55]

[55] იქვე, 28-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის ხელშეკრულების არსებითი პირობების გათვალისწინებასთან ერთად, ხელშეკრულება შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ ეყრდნობოდეს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.[56]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შეუძლია, შეიმუშაოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 28-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებითა და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი წესის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, შეიძლება, დაადგინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 63-ე მუხლით დადგენილი თანამიმდევრულობის მექანიზმის შესაბამისად.[57] დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულება არის წერილობითი, მათ შორის მოიაზრება მისი გაფორმება ელექტრონული ფორმით.[58] რეგულაციის 82-ე, 83-ე და 84-ე მუხლების გათვალისწინებით, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი დაარღვევს რეგულაციის დებულებებს მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრით, მონაცემების ამ დამუშავებასთან მიმართებით, უფლებამოსილი პირი მიიჩნევა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირად.[59]

[56]იქვე, 28-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
[57] იქვე, მე-7 და მე-8 პუნქტები.
[58] იქვე, მე-9 პუნქტი.
[59] იქვე, მე-10 პუნქტი.

**დანართი:**

## დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის ხელშეკრულების ნიმუში*

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმება (შემდეგში, „**შეთანხმება**“) დავალების ხელშეკრულების (შემდეგში, **„ძირითადი ხელშეკრულება“**) ნაწილია

_____

_____

_____

ერთი მხრივ, „**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი**“
**კომპანია**

_____

_____

_____

მეორე მხრივ, **„დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი“**

„**მხარეები**“ დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელშიც:

(ა) კომპანია მოქმედებს, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.
(ბ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს სურს გარკვეულ მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმება, რაც შემდეგში, გულისხმობს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას.
(გ) მხარეებს სურთ შეთანხმდნენ ისეთ პირობებზე, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს: ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას.
(დ) მხარეებს სურთ განსაზღვრონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

---

* ხელშეკრულების აღნიშნული პროექტი მომზადებულია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ დებულებების შესაბამისად. ოფიციალური დოკუმენტი: Data Processing Agreement (Template), იხ. ელექტრონულ ბმულზე: <https://gdpr.eu/data-processing-agreement/> [08.08.2024].

## მხარეები თანხმდებიან შემდეგ პირობებზე:

## 1. ტერმინთა განმარტება

1.1. შეთანხმებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „**შეთანხმება**“ — „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ შეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით და ვადით;

1.1.2. „**კომპანიის პერსონალური მონაცემები**“ — ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, დამუშავებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის: დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელით, შეთანხმების შესაბამისად ან მასთან დაკავშირებით;

1.1.3. **„დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი“** — ხელშეკრულების მხარე დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც კომპანიასთან შეთანხმებით შეუძლია, განსაზღვროს დამუშავებაზე უფლებამოსილი სხვა პირი;

1.1.4. „**მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა**“ — ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სამართლებრივი აქტები, ასევე, სხვა ნებისმიერი ქვეყნის პერსონალურ მონაცემთა მოწესრიგება ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ სამართლებრივი აქტები, თუ ისინი მხარეთა შეთანხმებით გამოიყენება;

1.1.5. “**EEA**” — ევროპის ეკონომიკური ზონა;

1.1.6. **„მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა ევროკავშირში“** — 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“, შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების გათვალისწინებით. ასევე, 95/46/EC დირექტივა, რომელიც აისახა თითოეული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში.

1.1.7. **„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“** — 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“.

1.1.8. „**მონაცემთა გადაცემა**“ გულისხმობს:

1.1.8.1. კომპანიიდან პერსონალური მონაცემების გადაცემას დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე; ან

1.1.8.2. კომპანიის პერსონალური მონაცემების გადაცემას დამუშავებაზე უფლებამოსილ სხვა პირზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ სხვა პირზე, ან დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის. მონაცემთა გადაცემა აკრძალულია, თუ ეს განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით ან წინამდებარე ხელშეკრულებით.

1.1.9. „**მომსახურება**“ — მომსახურება, რომელსაც კომპანია უზრუნველყოფს.

1.1.10. „**დამუშავებაზე უფლებამოსილი სხვა პირი**“ — ნებისმიერ პირი, რომელიც დანიშნულია დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით და მისი სახელით მონაცემების დამუშავების მიზნით.

1.2. ტერმინებს: „**კომისია**“, „**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი**“, „**მონაცემთა სუბიექტი**“, „**წევრი სახელმწიფო**“, „**ინციდენტი**“, „**დამუშავება**“ და „**საზედამხედველო ორგანო**“ — აქვთ „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციით“ გათვალისწინებული მნიშვნელობა და ამ ტერმინებთან დაკავშირებული სხვა ცნებები რეგულაციის შესაბამისად განიმარტება.

## 2. კომპანიასთან არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება

2.1. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია:

2.1.1. კანონმდებლობის შესაბამისად;

2.1.2. კომპანიის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია უფლებამოსილია, დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს დაავალოს კომპანიასთან არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება.

## 3. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პერსონალი

დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა დარწმუნდეს მისი თანამშრომლის, აგენტის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი სხვა პირ(ებ)ის სანდოობაში, რომლებსაც კომპანიასთან არსებულ პერსონალურ მონაცემებზე აქვთ წვდომა. თითოეულ შემთხვევაში იგი უნდა დარწმუნდეს, რომ ამ პირებს მონაცემებზე წვდომა ეძლევათ მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, ამ შეთანხმების საფუძველზე და კანონმდებლობის დაცვით საქმიანობის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს, რომ ისინი ექვემდებარებიან კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას, მათ შორის, პროფესიულ ან კანონით პირდაპირ განსაზღვრულ ვალდებულებას.

## 4. უსაფრთხოებას

4.1. ახალი ტექნოლოგიების, ფინანსური ხარჯების, დამუშავების მოცულობის, მასშტაბის, მიზნებისა და საშუალებების, აგრეთვე, მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოსალოდნელი რისკებისა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა კომპანიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უნდა მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველყოს  დამუშავების შესაძლო რისკის შესაბამისი

უსაფრთხოების დონე, მათ შორის, გაითვალისწინოს „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

4.2. მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და კანონის მოთხოვნების დასაცავად, შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებასთან ერთად, გაითვალისწინებს დამუშავების შესაძლო რისკებს და ექნება ინციდენტზე რეაგირების მექანიზმი.

## 5. უფლება-მოვალეობების დამუშავებაზე უფლებამოსილ სხვა პირზე გადაცემა

5.1. დაუშვებელია, დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის თანხმობის გარეშე.

## 6. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

6.1. მონაცემთა დამუშავების მოცულობის გათვალისწინებით, მონაცემთა უსაფრთხოებისა და სუბიექტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი უნდა დაეხმაროს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

6.2. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი:

6.2.1. დაუყოვნებლივ აცნობებს კომპანიას სუბიექტის მიერ საკუთარი პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის კანონის შესაბამისად მოთხოვნის თაობაზე;

6.2.2. არ უპასუხებს მოთხოვნას, თუკი მას, კომპანიის მითითებიდან გამომდინარე ან საკანონმდებლო მოწესრიგების შესაბამისად, ეკრძალება მოქმედება.

## 7. ინციდენტი

7.1. ინციდენტის აღმოჩენისას დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპანიას და მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია, რათა თავის მხრივ კომპანიამ უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტების ინციდენტის შესახებ ინფორმირება.

7.2. დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა ითანამშრომლოს კომპანიასთან და კომპანიის მითითებისამებრ სათანადოდ შესწავლოს საკითხი ინციდენტის მასშტაბების შემცირებისა და თავდაპირველი მდგომარეობის აღსადგენად.

## 8. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება და წინასწარი კონსულტაცია

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი კომპანიას უნდა დაეხმაროს „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 35-ე და 36-ე მუხლებიდან ან სხვა აქტის საფუძველზე, განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება. თუ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე.

## 9. პერსონალური მონაცემების წაშლა ან კომპანიისთვის მონაცემების უკან დაბრუნება

9.1. დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ და ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მომსახურების შეწყვეტის თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წაშალოს კომპანიის მიერ მიწოდებული მონაცემები და უზრუნველყოს დამუშავების შედეგად მიღებული ყველა ასლის გადაცემა კომპანიისთვის.

9.2. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირმა კომპანიას უნდა გადასცეს წერილობითი მტკიცებულება, რომ მან მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, შესაბამისი ვადის დაცვით შეასრულა.

## 10. შემოწმების უფლება

10.1. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც ამ შეთანხმების დადებისთვის არის საჭირო და ხელი შეუწყოს კომპანიის ან მის მიერ დადგენილი პირის მიერ შემოწმებას.

10.2. შემოწმების უფლება წარმოიშობა მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ამ ხელშეკრულების სხვა რომელიმე მუხლი არ განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს.

## 11. მონაცემთა გადაცემა

11.1. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ შეუძლია გადასცეს მონაცემები ან სხვას დართოს გადაცემის უფლება ევროკავშირის ან/და ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ. თუ პერსონალური მონაცემები გადაიცა ევროპის ეკონომიკურ ზონაში მყოფი ქვეყნიდან მის გარეთ მყოფ ქვეყანაში, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემების დაცვა. ამის მისაღწევად მხარეები, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, უნდა დაეყრდნონ ევროკავშირში დამტკიცებულ სტანდარტულ პირობებს.

## 12. ძირითადი დებულებები

12.1. **კონფიდენციალობა**. თითოეულმა მხარემ უნდა დაიცვას წინამდებარე შეთანხმება და მის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, ასევე, მისგან გამომდინარე საქმიანობის კონფიდენციალობა და არ უნდა გამოიყენოს ან გაამხილოს აღნიშნული ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმგვარი შემთხვევისა, როდესაც:
(ა) ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულოა კანონით;
(ბ) ინფორმაცია უკვე გამჟღავნებულია.

12.2. **შეტყობინებები**. ყველა შეტყობინება და მხარეთა კომუნიკაცია წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და გადაეცეს პირადად, ფოსტით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მხარეთა შეთანხმებით სხვა მისამართზე, რომელსაც მხარეები აცნობებენ ერთმანეთს, მისამართის ცვლილების შემთხვევაში.

## 13. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

13.1. მხარეთა შეთანხმებისთვის გამოიყენება _____ სამართალი.

13.2. ამ შეთანხმებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელსაც მხარეები მოლაპარაკებით ვერ გადაწყვეტენ, ექსკლუზიური იურისდიქციით გადაეცემა _____ სასამართლოებს.

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან.

### „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი“

ხელმოწერა: _____
სახელი: _____
წოდება: _____
ხელმოწერის თარიღი: _____

### „დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი“

ხელმოწერა: _____
სახელი: _____
წოდება: _____
ხელმოწერის თარიღი: _____

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010

ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge